

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №229

2024 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

სააქციო საზოგადოებამ – საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციამ უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 15 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ტერმინთა განმარტება

პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – „მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“;

ბ) კორპორაცია – სააქციო საზოგადოება – საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია;

გ) მეწარმე სუბიექტი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, გარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა;

დ) ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული აქვს სესხი და ამავე პროგრამის ფარგლებში მიიღებს/იღებს შესაბამის მხარდაჭერას;

ე) სესხი – კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარზე დამტკიცებული/გაცემული სესხი. აღნიშნული ტერმინის ფარგლებში შემდგომში მოიაზრება ამავე პუნქტის „ე.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ორივე სახის სესხი;

ე.ა) მიკროსესხი – ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სესხი/სესხები;

ე.ბ) განვითარების სესხი – ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სესხი/სესხები;

ვ) კომერციული ბანკი – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომერციული ბანკი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში კორპორაციას



გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. აღნიშნული ტერმინი შემდგომში ასევე მოხსენიებულია, როგორც ბანკი;

ზ) მიკრობანკი – „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიკრობანკი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში კორპორაციას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. ამ პროგრამის ფარგლებში და პროგრამის მიზნებისათვის, აღნიშნული ტერმინი შემდგომში ასევე მოხსენიებულია, როგორც ბანკი;

თ) დეფოლტი – ბენეფიციარის მიერ ბანკის წინაშე პროგრამის ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის სესხის თანხის სრულად დაბრუნების შესახებ შეტყობინების გაგზავნა ან ბენეფიციარის გადახდისუუნარობის საქმის დაწყება და ბანკის მიერ სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელების დაწყება, მათ შორის და არამხოლოდ, სასამართლოსთვის ან/და არბიტრაჟისთვის მიმართვა, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით, ნოტარიუსისთვის მიმართვა, აღსრულების ორგანოსთვის ან/და კერძო აღმასრულებლისთვის მიმართვა ან/და ქონების დასაკუთრების/რეალიზაციის პროცედურის დაწყების მიზნით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის სხვა პროცედურის დაწყების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის/პირისთვის მიმართვა;

ი) სესხის რეფინანსირება – ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე სესხის გადაფარვა იმავე ან სხვა ბანკში აღებული რეფინანსირების სესხით, რომელიც არ აჭარბებს გადასაფარი სესხის დამტკიცებულ მოცულობას და მოიცავს მხოლოდ გადასაფარი სესხის ნარჩენ ძირსა და სესხზე არსებულ დამტკიცებულ, აუთვისებელ თანხას. ამასთან, დამტკიცებული, აუთვისებელი თანხა, თავის მხრივ, უნდა გაიცეს ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, ამ პროგრამის მიზნებისათვის არ დაიშვება მიმდინარე სესხის უცხოურ ვალუტაში რეფინანსირება;

კ) ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

ლ) შემოსავალი – მეწარმე სუბიექტის ან/და მისი დამფუძნებლის/წილის მესაკუთრის კალენდარული წლის ერთობლივი შემოსავალი, რომლის დადგენის წესი განისაზღვრება კორპორაციის დირექტორის მიერ;

მ) სადეპოზიტო ანგარიში – კორპორაციის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკში ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილი ანგარიში, რომელიც განკუთვნილია ამავე პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული მიზნისათვის;

ნ) სხვა სადეპოზიტო ანგარიში – ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის განხორციელების მიზნით, კორპორაციის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკში გახსნილი ანგარიში, რომელსაც ბანკი ყოველდღიურად არიცხავს საპროცენტო სარგებელს;

ო) აუთვისებელი თანხები – ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დადასტურებული სესხებისათვის გარანტირებული ნაწილის უზრუნველსაყოფად, ამავე პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტიდან კორპორაციისთვის ჩარიცხული თანხა, რომლის განთავსებაც სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე კორპორაციის მიერ არ განხორციელებულა ამავე პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და არ არსებობს მისი ამ მიზნით შემდგომი გამოყენების საფუძველი. აღნიშნული თანხები, სრულად ან ნაწილობრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, კორპორაციის მიერ შესაძლოა, მიმართულ იქნეს ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებულ საერთო სახსრებში;

პ) საერთო სახსრები – ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანხა, რომლის მოცულობის თაობაზე ინფორმაცია კორპორაციის მიერ ასახულია პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელზედაც წვდომა აქვთ პროგრამაში ჩართულ ბანკებს;

ჟ) გუდვილი – ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 3) შესაბამისად



განსაზღვრული გუდვილი;

რ) საკრედიტო ხაზი – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-2 მუხლის „3¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საკრედიტო ხაზი;

ს) სესხის გარანტირებული ნაწილი – ამ პროგრამის პირობების შესაბამისად გაცემულ სესხზე ბანკში კორპორაციის მიერ განთავსებული/ განსათავსებელი თანხა;

ტ) განაცხადი – კორპორაციის მიერ დადგენილი ფორმით ბანკის მიერ კორპორაციაში წარდგენილი დოკუმენტი სადეპოზიტო ანგარიშზე სესხის გარანტირებული ნაწილის ჩარიცხვის თაობაზე;

უ) საბჭო – სააქციო საზოგადოება საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭო;

ფ) სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და აღწერა

1. პროგრამის მიზანია მიკრომეწარმეობის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და სამეწარმეო პოტენციალის ზრდა.

2. პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს:

ა) გარანტიის კომპონენტი;

ბ) სუბსიდირების კომპონენტი;

გ) გრანტის კომპონენტი.

3. პროგრამის ფარგლებში, ერთი სესხის მიმართებით გარანტიის კომპონენტთან ერთად, მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია, ისარგებლოს სუბსიდირებისა და გრანტის კომპონენტებითაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს ამ პროგრამის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრულ პირობებს.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელება

1. პროგრამას ახორციელებს კორპორაცია.

2. კორპორაციასა და ბანკებს შორის, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

3. კორპორაცია უფლებამოსილია, რისკების (როგორც არის, მათ შორის და არა მხოლოდ, ბანკის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება ან/და ამ პროგრამის პირობების დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება) შეფასების საფუძველზე, შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კონკრეტულ ბანკს პროგრამაში მონაწილეობის უფლება, რის შესახებაც მინიმუმ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე უნდა აცნობოს მას. აღნიშნული გავლენას არ იქონიებს პროგრამის ფარგლებში უკვე გაცემულ სესხებზე და არ გამოიწვევს უკვე გაცემული გარანტიების გაუქმებას.

4. კორპორაცია უფლებამოსილია, ეკონომიკის გარკვეულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და რეგიონში სესხების მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და კონკრეტულ რეგიონში პროგრამის ფარგლებში სესხის გაცემის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული არ გამოიწვევს პროგრამის ფარგლებში უკვე გაცემულ სესხებზე მხარდაჭერის შეწყვეტას.



5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას კორპორაცია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ბანკისთვის ყოველგვარი დასაბუთების წარდგენის გარეშე.

6. (ამოღებულია - 20.07.2026, №338).

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 4. პროგრამის ბენეფიციარი

1. პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტი „მიკროსესხ(ებ)ით“ სარგებლობის შემთხვევაში ამავე პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დიაგნოსტიკის გავლისას უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მეწარმე სუბიექტის შემოსავალი არ აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს;

ბ) არ აქვს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

გ) მეწარმე სუბიექტის დამფუძნებელი/წილის მესაკუთრე ფიზიკური პირის შემოსავალი არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს;

დ) მეწარმე სუბიექტის დამფუძნებელი/წილის მესაკუთრე იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მხოლოდ შემოსავლების კომპონენტში შეესაბამება IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს.

2. პროგრამის ბენეფიციარი უფლებამოსილია ისარგებლოს „განვითარების სესხ(ებ)ით“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დიაგნოსტიკის გავლისას აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ყველა პირობას:

ა) კორპორაციის მიერ ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დასტურდება მის მიერ ათვისებული „მიკროსესხ(ებ)ის“ მიზნობრივი გამოყენება;

ბ) არ აქვს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

გ) აკმაყოფილებს „განვითარების სესხ(ებ)ით“ სარგებლობისთვის კორპორაციის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, კორპორაციის დირექტორი, საბჭოსთან შეთანხმებით, უფლებამოსილია დაადგინოს ბენეფიციარისთვის პროგრამაში მონაწილეობის დამატებითი კრიტერიუმები/მოთხოვნები, მათ შორის და არა მხოლოდ, ამ დადგენილების დანართ №1-ის გარდა, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობების ნუსხა, რომელთა ფარგლებშიც არ არის დასაშვები „განვითარების სესხის“ გაცემა, „განვითარების სესხით“ სარგებლობისთვის ბენეფიციარის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, „განვითარების სესხის“ მიზნობრიობა და „განვითარების სესხით“ სარგებლობის სხვა პირობები.

4. პროგრამის ფარგლებში სესხი არ დამტკიცდება მეწარმე სუბიექტზე, რომელმაც ამავე პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დიაგნოსტიკის გავლის ეტაპზე ამ პროგრამის ან/და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №163 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის – „საკრედიტო საგარანტიო სქემის“ ფარგლებში ერთხელ უკვე განიცადა დეფოლტი ან/და შეწყვეტილი აქვს პროგრამაში მონაწილეობის უფლება, ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის



შესაბამისად ან/და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ან/და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის 12³⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან/და „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტების (ასევე დადგენილების 2025 წლის 1 სექტემბრამდე არსებული რედაქციის 12³⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების) შესაბამისად შეუწყდა თანადაფინანსება ან/და რეგისტრირებულია კორპორაციის ვადაგადაცელებულ დებიტორად ან/და მის წინააღმდეგ დაწყებულია სამართლებრივი დავა.

5. ბენეფიციარი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მხარდაჭერის დასრულებამდე, საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს ის უძრავი ქონება, სადაც ხორციელდება მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობა. სასტუმროს საქმიანობის (NACE კოდები: 55.10.1; 55.10.2; 55.20.0) შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მხარდაჭერის დასრულებამდე, საკუთრებაში იქონიოს ის უძრავი ქონება, სადაც ხორციელდება მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 5. პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხი

1. პროგრამის ფარგლებში სესხი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

2. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული და მის მიერ ათვისებული „მიკროსესხ(ებ)ის“ მინიმალური მოცულობა შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა – 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარს.

3. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული და მის მიერ ათვისებული „განვითარების სესხის“ მინიმალური მოცულობა შეადგენს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

4. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია ისარგებლოს რამდენიმე სესხით, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი მოცულობების გათვალისწინებით. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია „განვითარების სესხით“ ისარგებლოს მხოლოდ ერთხელ.

5. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე ბანკის მიერ დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს კორპორაცია, საბჭოსთან შეთანხმებით.

6. ბანკი ვალდებულია პროგრამის ფარგლებში გაცემულ „მიკროსესხზე“ განსაზღვროს არანაკლებ 6-თვიანი საშელავათო პერიოდი, რომლის დროსაც ბენეფიციარი თავისუფლდება სესხის ძირი თანხის დაფარვისგან.

7. ბანკი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს არ დააკისროს სესხის გაცემის, მომსახურების, აუთვისებელი ტრანშისა და სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა.

8. პროგრამის ფარგლებში სესხი არ გაიცემა ბანკის მიერ საკრედიტო ხაზის ქვეშ დამტკიცებულ სესხებზე.

9. პროგრამის ფარგლებში „განვითარების სესხით“ ვერ ისარგებლებს ის ბენეფიციარი, რომლის მიმართაც „განვითარების სესხის“ აღების მიზნით ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დიაგნოსტიკის გავლისას გასულია პროგრამის ფარგლებში ათვისებული (რიგით პირველი) „მიკროსესხის“ პროგრამაში დადასტურებიდან 36 თვე.

10. პროგრამის ფარგლებში სესხი/სესხის პირველი ტრანში (რომელიც „მიკროსესხის“ შემთხვევაში უნდა იყოს არანაკლებ 20 000 ლარისა, ხოლო „განვითარების სესხის“ შემთხვევაში – არანაკლებ 70 000 ლარისა) უნდა გაიცეს კორპორაციის მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევით სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემთხვევაში კორპორაცია არ განახორციელებს კონკრეტულ სესხთან მიმართებით, მეწარმე სუბიექტის ამ პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერას.



11. პროგრამის ფარგლებში სესხი სრული ოდენობით უნდა გაიცეს კორპორაციის მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნულ სესხზე ტრანშის გაცემა არ დაიშვება.

12. ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს სესხის მიზნობრივი ათვისება (ხარჯვა) პროგრამის ფარგლებში სესხის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში, რომელიც დასტურდება კორპორაციის მიერ დადგენილი ფორმით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად.

13. პროგრამის ფარგლებში აკრძალულია სესხის გაცემა ამავე პროგრამის დანართ №1-ით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობებისთვის. ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხით არ დაფინანსდება:

ა) გუდვილის შეძენა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და რემონტი, გარდა სპეციალური საშუალებებისა, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საწარმოს ტერიტორიაზე პროდუქციის/მომსახურების წარმოების პროცესში;

გ) სახელმწიფო ან/და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენა ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით დროებით სარგებლობაში აღება;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირის აქციების ან წილების შეძენა ან მართვაში აღება;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული სახდელების (ჯარიმა, საურავი, პირგასამტეხლო და სხვა) გადახდა/დაფარვა;

ვ) სასტუმროს საქმიანობა (NACE კოდები: 55.10.1; 55.10.2; 55.20.0), რომელიც ხორციელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში/კომპლექსში.

14. ბენეფიციარის მიერ ამ მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში კორპორაცია უფლებამოსილია მისცეს ბენეფიციარს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმე სუბიექტი კარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს, რომლის დროსაც კორპორაცია ვალდებულია კონკრეტულ სესხზე შეწყვიტოს გარანტია და მოითხოვოს ბანკისგან სესხის გარანტირებული ნაწილის უკან დაბრუნება. ამასთან, ზემოაღნიშნული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ასევე სარგებლობდა ამ პროგრამის მე-10 მუხლის შესაბამისად სესხის პროცენტის სუბსიდირებით, ბენეფიციარი ასევე ვალდებულია, დაუყოვნებლივ დააბრუნოს კორპორაციის მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პროცესი

1. პროგრამა ხორციელდება კორპორაციის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის/უზრუნველყოფების გამოყენებით.

2. პროგრამაში ჩართვისთვის მეწარმე სუბიექტი გადის კორპორაციის მიერ დამტკიცებულ დიაგნოსტიკას (შემდგომში – დიაგნოსტიკა).

3. დიაგნოსტიკის შედეგად მეწარმე სუბიექტისთვის პროგრამაში ჩართვის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, კორპორაცია მეწარმე სუბიექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგზავნის შესაბამის ბანკ(ებ)ში, პროგრამის ფარგლებში სესხის დამტკიცების მიზნით.

4. ბანკი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას სესხის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომელსაც აცნობებს კორპორაციას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით. ამასთან, პროგრამის ფარგლებში სესხ(ებ)ი უნდა იქნეს დამტკიცებული ბანკ(ებ)ის მიერ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.



5. სესხის დამტკიცების შემთხვევაში, ინფორმაციის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში კორპორაცია ადასტურებს ან უარყოფს სესხის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისობას პროგრამის პირობებთან. კორპორაციის დასტურის შემთხვევაში სესხი მიიჩნევა პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულად.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

მუხლი 7. გარანტიის კომპონენტი

1. გარანტია წარმოადგენს ბანკ(ებ)ის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების ინსტრუმენტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე გარანტია გაიცემა ბანკის მიერ (ბენეფიციართან შეთანხმებით) მოთხოვნილ, არაუმეტეს სესხის ძირითადის 80 პროცენტის ოდენობაზე.

3. ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხებისთვის გარანტირებული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კორპორაცია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკში გახსნას სადეპოზიტო ანგარიში, რომელზეც არ განხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სხვა სადეპოზიტო ანგარიშისა;

ბ) სამინისტრო, პროგრამით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში, უზრუნველყოფს კორპორაციისათვის თანხის გადარიცხვას, სახელმწიფო ხაზინაში არსებულ, კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სესხების გარანტირებული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, ამ პროგრამით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

გ) კორპორაცია ვალდებულია, პროგრამით განსაზღვრული წესის დაცვით, სახელმწიფო ხაზინაში მის ანგარიშზე ან/და ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სხვა სადეპოზიტო ანგარიშზე პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული თანხა განათავსოს ბანკში ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე. ამასთანავე, პირველ რიგში, დეპოზიტზე განთავსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით პროგრამისთვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხა.

4. ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კორპორაციის მიერ დადასტურებული სესხებისათვის/სესხების ტრანშებისათვის ჩაურიცხავი სესხის გარანტირებული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) იმავე წლის ასიგნებების ფარგლებში – კორპორაციის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე სამინისტრო პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს აღნიშნული სესხებისათვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებულ კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე;

ბ) მომდევნო წლის ასიგნებების ფარგლებში – იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ჩარიცხული თანხა სრულად არ არის საკმარისი კორპორაციის მიერ დადასტურებული სესხების შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, კორპორაციის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე სამინისტრო პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს აღნიშნული სესხებისათვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებულ კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე. ამასთან, სამინისტროს მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა არ ჩაითვლება წინა პერიოდის ვალდებულებების დაფარვად;

გ) კორპორაცია ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კორპორაციის კანონმდებლობით



ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას ან სხვა სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას განათავსებს შესაბამის ბანკში ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ კორპორაციის სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან, პირველ რიგში, დეპოზიტზე განთავსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით პროგრამისთვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხა.

5. პროგრამის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული სესხის გარანტირებულ ნაწილს არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი, გარდა ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სხვა სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხული პროცენტისა.

6. ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ბანკებიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა გზით სახელმწიფო ხაზინაში არსებული კორპორაციის სხვა შემოსავლების ანგარიშზე დაბრუნებული/მოზიდული სახსრები, მათ შორის, ამ მუხლის მე-7 პუნქტით სხვა სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხული სარგებელი, ამ პროგრამის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ამოღებული თანხა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ყოველი საბიუჯეტო წლისათვის გამოყოფილი ასიგნებები წარმოადგენს ამავე პროგრამის ფარგლებში სესხების გარანტირებული ნაწილის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულ საერთო სახსრებს.

6¹. კორპორაცია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად აკუმულირებული ფულადი რესურსი (საერთო სახსრები, სახელმწიფო ბიუჯეტით პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებების გარეშე) გამოიყენოს კორპორაციის წესდებით განსაზღვრული სხვა მიზნების მისაღწევად.

7. კორპორაცია, ხაზინაში მის სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე არსებულ თანხას (მათ შორის, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებული საერთო სახსრები), თუ იგი ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაირიცხა სადეპოზიტო ანგარიშებზე, განათავსებს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შერჩეულ ბანკში გახსნილ სხვა სადეპოზიტო ანგარიშზე. ამ ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ბანკის მიერ ირიცხება სახელმწიფო ხაზინაში კორპორაციის სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე და კორპორაციის მიერ მიიმართება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებულ საერთო სახსრებში.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საერთო სახსრებიდან კონკრეტული ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ბანკის მიერ სესხის გარანტირებული ნაწილის მოთხოვნა, ამ პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად, ხდება პრინციპით: „დროში პირველი, უფლებაში პირველი“ (ე. წ. First come, first serve).

9. პროგრამაში მონაწილე ბანკის მიერ ამავე პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმისას მისთვის გამოყოფილი აუთვისებელი სესხის გარანტირებული ნაწილი კორპორაციის მიერ მიიმართება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებულ საერთო სახსრებში პროგრამაში მონაწილეობაზე ბანკის მიერ უარის თქმიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

10. პროგრამის ფარგლებში, კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით გარანტიის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარი იმავე სესხზე დამატებით ვერ ისარგებლებს სხვა საგარანტიო სქემით (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) და პირიქით, თუ სესხზე სხვა საგარანტიო სქემის/ფონდის (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) ფარგლებში უკვე გაცემულია გარანტია, აღნიშნულ სესხთან დაკავშირებით არ მოხდება პროგრამის ფარგლებში გარანტიის გაცემა.

11. პროგრამის ფარგლებში, ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღირებულებისა და გარანტიის მოცულობის ჯამის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 110 (ას ათი) პროცენტს. სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღირებულებისა და გარანტიის მოცულობის ჯამის მაქსიმალურ ოდენობაში არ გაითვალისწინება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის თავდებობა. ამასთანავე, თუ სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ის ქონება, რომელიც ერთხელ ან რამდენჯერმე უკვე დაგირავებულია სხვა სესხის/სესხების უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღირებულებისა და გარანტიის მოცულობის ჯამური ოდენობა დაითვლება ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კორპორაციასა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.



12. გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის მოცულობისა, ბანკი ვალდებულია მოახდინოს პროგრამის ფარგლებში შეძენილი/შექმნილი ძირითადი საშუალებების დატვირთვა, იმავე სესხის უზრუნველსაყოფად (კორპორაციის მიერ ამ სესხზე გაცემული გარანტიის ნაწილობრივ გამოთავისუფლებით ან მის გარეშე), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სესხის პირველად უზრუნველყოფას. ამასთან, ამ პროგრამის მიზნებისათვის, საბჭოსთან შეთანხმებით, კორპორაციის დირექტორი განსაზღვრავს დასატვირთ ძირითად საშუალებებსა და აღნიშნული აქტივების დატვირთვის წესს.

13. გარანტია მოქმედებს პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხის/ სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.

14. ბენეფიციართან შეთანხმებით, ბანკი უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას გარანტიაზე ან/და სრულად ან ნაწილობრივ ჩაანაცვლოს გარანტია სხვა უზრუნველყოფით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 8. გარანტიის თანხის მართვა

1. პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემდეგ, ბანკი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, კორპორაციასთან შეთანხმებული ფორმით და ვადაში, წარუდგენს მას განაცხადს სესხის გარანტირებული ნაწილის მოთხოვნის თაობაზე.

2. კორპორაციის მიერ ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სადეპოზიტო ანგარიშზე ჩასარიცხი სესხის გარანტირებული ნაწილის ოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ წინა თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხებზე მოთხოვნილი გარანტიის სრული ოდენობით, თუმცა არაუმეტეს სესხის ძირითადი თანხის 80 პროცენტის ოდენობისა.

3. კორპორაცია სესხის გარანტირებული ნაწილის ჩარიცხვას უზრუნველყოფს, ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბანკებში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვამდე.

4. ყოველი თვის 5 რიცხვამდე ბანკი უზრუნველყოფს წინა თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული სესხების ძირითადი თანხის დაფარვების შესაბამისად თანხის დაბრუნებას სახელმწიფო ხაზინაში კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე.

5. ბანკი უზრუნველყოფს გარანტიის ვადის ამოწურვის, გარანტიაზე სრულად უარის თქმის ან გარანტიის უზრუნველყოფით სრულად ჩანაცვლების შემთხვევაში სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გარანტირებული ნაწილის ჩარიცხვას სახელმწიფო ხაზინაში არსებული კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

6. ბანკში ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ ექვემდებარება ფისკალური წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

7. ბანკი, ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კორპორაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმითა (წერილობით, ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფით) და პერიოდულობით, უზრუნველყოფს კორპორაციისთვის პროგრამის ფარგლებში გაცემული, ათვისებული სესხების, სესხის დაფარვების, ვადაგადაცილებებისა და დეფოლტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 9. გარანტიის აღსრულების პროცედურა დეფოლტის დადგომის შემდეგ



1. პროგრამის ფარგლებში ბანკის მიერ გაცემული სესხების დეფოლტის დადგომის შემდეგ, ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული სესხის გარანტირებული ნაწილიდან ბანკის მიერ ხდება გარანტიის ათვისება პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2. დეფოლტის დადგომის შემთხვევაში ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებს კორპორაციას და აწვდის ინფორმაციას ასათვისებელი გარანტირებული ნაწილის ოდენობის თაობაზე (შემდგომში – ასათვისებელი თანხა).
3. ასათვისებელი თანხა წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის დეფოლტის საფუძველზე წარმოქმნილი ფინანსური რისკის გადანაწილების მიზნით ბანკის მიერ კორპორაციის სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელ სესხზე დარჩენილი გარანტირებული ნაწილის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.
4. ასათვისებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება გადეფოლტებული სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გარანტირებული ნაწილის შესაბამისად.
5. ბანკსა და კორპორაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კორპორაციის მიერ ასათვისებელი თანხის ოდენობის სისწორის დადასტურების შემდეგ, ბანკი უფლებამოსილია, ჩამოჭრას სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხიდან ასათვისებელი თანხის ოდენობა.
6. დეფოლტის დადგომის საფუძველზე, ბანკი უზრუნველყოფს გადეფოლტებული სესხის ამოღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელებას.
7. პროგრამის ფარგლებში გადეფოლტებული სესხის ამოღების შედეგად მიღებული თანხიდან პირველ რიგში დაკმაყოფილდება ბანკის სესხის ამოღებასთან დაკავშირებული ხარჯი, სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, შემდგომ დაკმაყოფილდება სესხის ძირზე ბანკის მოთხოვნა (გარდა ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს, ჯარიმის ან/და მიუღებელი შემოსავლის ან/და ნებისმიერი სახის სანქციისა) სრულად და თანხის დარჩენის შემთხვევაში, აღნიშნული თანხის ფარგლებში, მოხდება კორპორაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სესხის ამოღების შედეგად მიღებული გარანტირებული ნაწილის შესაბამისად, რომელიც ჩარიცხული უნდა იყოს ხაზინაში კორპორაციის სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე.
8. სესხის ამოღების შედეგად ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიღებული თანხის გადანაწილების საფუძველზე, ხაზინაში კორპორაციის სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე გადარიცხული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სადეპოზიტო ანგარიშიდან ბანკის მიერ ჩამოჭრილი ასათვისებელი თანხის ფაქტობრივ ოდენობას.
9. იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამოღების პროცესში ვერ მოხდა უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია და, აქედან გამომდინარე, განხორციელდა ბანკის მიერ ბენეფიციარის ქონების დასაკუთრება, ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ 2 (ორი) წლის განმავლობაში, კორპორაციისთვის კუთვნილი (ძირის გარანტირებული ნაწილის) ნაწილის ჩარიცხვა ხაზინაში კორპორაციის სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე განხორციელდება ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების რეალიზაციისა და მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად. აღნიშნული თანხები კორპორაციის მიერ მიიმართება ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებულ საერთო სახსრებში.
10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია, აღნიშნული ქონების ღირებულების ხელახალი შეფასების საფუძველზე, ორი თვის განმავლობაში ბანკი უზრუნველყოფს კორპორაციისთვის კუთვნილი ნაწილის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად.
11. თუ პროგრამის ფარგლებში გასაცემი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ბენეფიციარის მიერ ხდება ისეთი ქონების მითითება, რომელზეც უკვე რეგისტრირებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (იპოთეკა/გირავნობა), მოთხოვნის წარმოშობის მომენტში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება



საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 10. სესხის სუბსიდირების კომპონენტი

1. კორპორაცია ახორციელებს ამ პროგრამის ფარგლებში გაცემულ „მიკროსესხ(ებ)ზე“ ბანკის მიერ პირველი ტრანშის გაცემის მომენტიდან დარიცხული 5 (ხუთი) წლის საპროცენტო განაკვეთის სრული ოდენობის სუბსიდირებას (დაფინანსებას).
2. კორპორაცია, ამ მუხლის პირველი პუნქტის აღსრულების მიზნით, სესხის პროცენტის სუბსიდირებას სპეციალურად აღნიშნული მიზნით გახსნილ ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე. ბანკის მიერ ბენეფიციარის კონკრეტული ვალდებულებისათვის თანხის მიმართვის წესი რეგულირდება ბანკსა და კორპორაციას შორის ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესაბამისად. ბანკი ვალდებულია კორპორაციის წილი ვალდებულების (სუბსიდირების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს კორპორაციას.
3. ბანკი ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე აწარმოოს მონიტორინგი თანხების ბრუნვის თაობაზე და მიაწოდოს კორპორაციას ინფორმაცია მასთან შეთანხმებული პერიოდულობით.
4. პროგრამის ფარგლებში სესხის რეფინანსირების შემთხვევაში არ უნდა იზრდებოდეს სესხზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 5 წელზე ნაკლებია, კორპორაცია განახორციელებს გაცემულ სესხზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 11. გრანტის კომპონენტი

1. ამ პროგრამის ბენეფიციარი, რომელიც სარგებლობს ამავე პროგრამის ფარგლებში გაცემული „მიკროსესხ(ებ)ით“ და ასევე ჩართულია სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტში – „მზის კარი“ (შემდგომში – პროექტი), უფლებამოსილია მიმართოს კორპორაციას პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული და ამავე პროგრამის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სრულად ათვისებული სესხის მოცულობის 25%-ის (შემდგომში – გრანტი) ოდენობით ანაზღაურების მოთხოვნით, ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. ბენეფიციარს გრანტის განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი მხრიდან მოხდება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხის სრული ოდენობით ათვისება, რომელიც დასტურდება ამ პროგრამის მე-12 მუხლით განსაზღვრული მონიტორინგის შედეგად. ამასთან, ბენეფიციარი უფლებამოსილია, საგრანტო განაცხადი წარადგინოს კორპორაციაში არაუგვიანეს სესხის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გრანტის კომპონენტის გამოყენების მსურველი ბენეფიციარი გრანტის განაცხადით მიმართავს კორპორაციას, რომელიც, თავის მხრივ, განაცხადის წარდგენიდან 3 კალენდარული თვის ვადაში ახდენს გრანტის ბენეფიციარისათვის ჩარიცხვას ბენეფიციარის მიერ განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 12. პროგრამის მონიტორინგი

1. კორპორაცია, მის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში, უზრუნველყოფს ბენეფიციარის ან/და



ბანკის მხრიდან პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ბანკი, თავის მხრივ, ვალდებულია, ხელი შეუწყოს კორპორაციას ამ პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის ჩატარებაში.

2. ბენეფიციარის მხრიდან პროგრამის არამიზნობრივი განხორციელების აღმოჩენის ან/და პროგრამით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს კორპორაციას აღნიშნულის თაობაზე.

3. პროგრამის ფარგლებში კორპორაცია უფლებამოსილია, კომერციული ბანკისგან მოითხოვოს სესხთან/ბენეფიციართან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა.

4. თუ კორპორაციის მონიტორინგის შედეგად დადგინდა მიზნობრიობის ან/და პროგრამით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევა/შემთხვევები, კორპორაცია იმოქმედებს ამავე პროგრამის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტითა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

მუხლი 13. პროგრამის ბიუჯეტი

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით პროგრამისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ან/და კორპორაციის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა სახსრები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დაფინანსდეს საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსება სრული/ნაწილობრივი ოდენობით მოხდეს დონორი ორგანიზაციის მეშვეობით ან/და ჩაირიცხოს სახელმწიფო ხაზინაში არსებულ კორპორაციის კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე.

3. კორპორაციის დირექტორი, საბჭოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს პროგრამის წლიურ ბიუჯეტს.

4. კორპორაცია განსაზღვრავს ყოველი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით პროგრამის გარანტიის კომპონენტისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობას, რომელიც უნდა მიიმართოს ამ პროგრამის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ფორმირებულ საერთო სახსრებში.

5. კორპორაციის მიერ პროგრამის ფარგლებში სესხების (მათ შორის, მიკრო ან/და განვითარების სესხების) დადასტურება შეჩერდება, თუ კორპორაციის მიერ ასაღები ვალდებულებების მოცულობა გადააჭარბებს კორპორაციის დირექტორის მიერ განსაზღვრული ბიუჯეტის მოცულობას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 21 მაისის დადგენილება №215 - ვებგვერდი, 22.05.2026წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

დანართი №1

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №345 - ვებგვერდი, 13.08.2025წ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 ივლისის დადგენილება №338 - ვებგვერდი, 21.07.2026წ.

